სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმა

დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება

2023 წელი

სამუშაო შეხვედრების ანგარიში და სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმა ხაშურის მუნიციპალიტეტში

„დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება“

პროექტი მხარდაჭერილია პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონის განხორციელების ადვოკატირება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ევროპის ფონდთან და ჰადსონ ვოლის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრთან თანამშრომლობით.

პროექტის მენეჯერი: მარინე მღებრიშვილი

ექსპერტი: ნათია გოფომე - ცვლილებისა და კონფლიქტის მართვის ცენტრი „პარტნიორები საქართველო“

სარჩევი

შესავალი 2

შეხვედრების დღის წესრიგი 2

მონაწილეთა სია 3

იდენტიფიცირებული პრობლემები..... 5

დამატებითი ინფორმაცია 6

სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმა..... 8

დამატებითი კომენტარი 10

„დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება“

ხაშურის მუნიციპალიტეტი

სამუშაო შეხვედრების ანგარიში

შესავალი:

პროექტის „დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება“ ფარგლებში ჩატარდა სამუშაო ჯგუფის ოთხი შეხვედრა ხაშურის მუნიციპალიტეტში. შეხვედრების მიზანი იყო შშმ პირთა დასაქმების კუთხით არსებული ბარიერების გამოკვეთა, მათი გადალახვის გზებზე მსჯელობა და სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმის შემუშავება.

სამუშაო ჯგუფში იყვნენ ხაშურის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები. შეხვედრების ფასილიტაციას უზრუნველყოფდა ცვლილებისა და კონფლიქტის მართვის ცენტრი „პარტნიორები საქართველო“.

შეხვედრების დღის წესრიგი:

დრო	განსახილველი საკითხი
I შეხვედრა - 11 დეკემბერი	
10:00 – 13:00	– პროექტის პრეზენტაცია – შშმ პირთა დასაქმების ხელშემშლელი ფაქტორები
II შეხვედრა - 13 დეკემბერი	
10:00 – 13:00	– შშმ პირთა დასაქმების კუთხით არსებული პრობლემების ანალიზი – პრიორიტეტული პრობლემების გამოკვეთა
III შეხვედრა - 15 დეკემბერი	
10:00 – 13:00	– შშმ პირთა დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკა - სამომავლო ხედვა – შშმ პირთა დასაქმების ხელშემწყობი ქმედებების იდენტიფიცირება
IV შეხვედრა - 21 დეკემბერი	

10:00 – 13:00	– შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გადასადგმელი აუცილებელი ნაბიჯების განსაზღვრა – მუნიციპალიტეტისათვის წარსადგენი საბოლოო რეკომენდაციების დამუშავება

მონაწილეთა სია:

#	სახელი და გვარი	ორგანიზაცია	პოზიცია
1	ტარიელ გოგოლაძე	ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი
2	ლიკუნა ლალუაშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია	ბავშვთა უფლებათა დაცვის ინსპექტორი
3	ნინო ალექსიძე	ხაშურის მუნიციპალიტეტის #7 საჯარო სკოლა	სპეც პედაგოგი
4	ნატო გოგალაძე	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია	სპეციალისტი
5	თინათინ კაპანაძე	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია	სოციალური მუშაკი
6	ნინო სუხიაშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი
7	არჩილ შალიბაშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია	უფროსი სპეციალისტი
8	ზაზა გვრიტიშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	კონსულტანტი
9	თათია ძინძიბაძე	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
10	ლელა მაჭარაშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია	საფინანსო სამსახურის უფროსი
11	სერგო ლალიაშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია	ინფრასტრუქტურის სამსახური
12	ირინე გოგიტაური	ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	მთავარი სპეციალისტი
13	თეა ჯაფარაშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	უფროსი სპეციალისტი
14	ნინო ლიპარტელიანი	ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	თავმჯდომარე
15	თათია ბროლიძე	ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

16			
17			
18			
19			
20			

იდენტიფიცირებული პრობლემები:

სამუშაო ჯგუფის მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- არა ადაპტირებული გარემო და ტრანსპორტი
- სოციალური საწარმოების არარსებობა
- არ ხდება კერძო სექტორის წახალისება, რომ მათ დაასაქმონ შშმ პირები. არ არსებობს საგადასახადო შეღავათი
- პერსონალური ასისტენტის სერვისის არარსებობა
- შშმ პირებისთვის არ ტარდება საქმიანი უნარების განვითარებაზე მიმართული ტრენინგები
- საზოგადოების მხრიდან შშმ პირთა დაბალი მიმღებლობა
- შშმ პირთა დაბალი კვალიფიკაცია
- ცნობიერების დაბალი დონე - სტერეოტიპული დამოკიდებულება, როგორც დამსაქმებლების, ასევე თავად შშმ პირთა ოჯახის წევრების მხრიდან.

პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ, მოხდა პრიორიტეტული საკითხების შერჩევა და მათი უფრო დეტალურად გაანალიზება სამუშაო ჯგუფის ფორმატში. მონაწილეებმა პრიორიტეტულად მიიჩნიეს შემდეგი საკითხები:

- **არა ადაპტირებული გარემო/ტრანსპორტი**

  შშმ პირთა დასაქმებაში ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი ფაქტორი არის არა ადაპტირებული შენობები და ტრანსპორტი, რაც გამოიკვეთა ყველა მუნიციპალიტეტში. განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ძველი შენობები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები, რომლის უმეტესობაშიც არ არის დამონტაჟებული ლიფტი. შესაბამისად, გადაადგილების სირთულის მქონე შშმ პირებისთვის დამოუკიდებლად სახლიდან გასვლაც კი წარმოუდგენელია. პრობლემები არის ახალი შენობების შემთხვევაშიც. მაშინაც კი, როდესაც ხდება შენობის ადაპტირება, ხშირად შესაბამისი სტანდარტი არ არის დაცული, ან შენობა მხოლოდ ნაწილობრივ არის ადაპტირებული. მაგალითად, შენობას აქვს პანდუსი მაგრამ არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. ასეა კომერციული ობიექტების (მაღაზიების) უმრავლესობაში. ისინი ადაპტირებულია კლიენტისთვის, მაგრამ არა თანამშრომლისთვის.

  ხაშურის მუნიციპალიტეტში არ არსებობს მუნიციპალური ტრანსპორტი. მუნიციპალიტეტს ემსახურება კერძო კომპანია, რომელის სატრანსპორტო საშუალებებიც არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის. შესაბამისად, მათი დამოუკიდებლად გადაადგილება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

- **ცნობიერების დაბალი დონე/სტერეოტიპული დამოკიდებულება**

  შშმ პირთა დაბალი მიმღებლობა და სტერეოტიპული დამოკიდებულება პრობლემას წარმოადგენს, როგორც ზოგადად საზოგადოებაში, ასევე ბიზნესის და თავად შშმ პირთა ოჯახის წევრების შემთხვევაშიც. საზოგადოება შშმ პირებს არ აღიქვამს თანასწორად/თანაბარუფლებიანად. მათ მიმართ ძირითადად გრძნობენ სიბრალულს.

  შშმ პირთა საზოგადოებაში სრულფასოვნად ინტეგრირებას ხშირად მათი ოჯახის წევრებიც აფერხებენ. ეს ზოგჯერ გამოწვეულია მათი მხრიდან ოჯახის წევრის უსაფრთხოებაზე ღელვით, რადგან შშმ პირები უფრო მოწყვლადები არიან ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის, მიმართ. თუმცა, ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ოჯახები მალავენ შშმ პირს, რადგან რცხვენიათ მისი გამოჩენის.

  დაბალი მიმღებლობა/ნეგატიური დამოკიდებულება პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების ყველა დონეზე. ეს ვრცელდება კერძო სექტორზეც. მათი მხრიდან ხშირად არ არის მზაობა, რომ დაასაქმონ შშმ პირები. ეს გამოწვეული, ერთის მხრივ, ბიზნესის დაბალი სოციალური პასუხისმგებლობით. მეორეს მხრივ, პრობლემაა ისიც, რომ ასეთი გამოცდილების არ ქონის გამო, დამსაქმებლებს შშმ პირთა დასაქმება ძალიან რთულ, მრავალი პრობლემის გამომწვევ საკითხად ესახებათ.

- **სოციალური საწარმოების არ არსებობა**

  როგორც ახალციხისა და გორის შემთხვევაში, ხაშურშიც სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა სოციალური საწარმოების განვითარების მნიშვნელობაზე შშმ პირთა დასაქმების და მათი განვითარებისთვის. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე არ არსებობს სოციალური საწარმო, რაც განსაკუთრებულად ართულებს 18 წელს ზემოთ მყოფი შშმ პირების სიტუაციას. მუნიციპალიტეტში არის დღის ცენტრები, რომლებიც ძირითადად ემსახურებიან 18 წლამდე ბენეფიციარებს. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ხშირად ხდება შშმ პირთა ექსკლუზია, გაუცხოება და დღის ცენტრში განვითარებული უნარ-ჩვევების დაკარგვა.

დამატებითი ინფორმაცია:

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ინიციატივით მოქმედებს შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს:

1. შშმ პირთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა პროფესიულ სასწავლებელში, რომლის გახსნაც 2024 წელს იგეგმება.
2. განაცხადის საფუძველზე შშმ პირთათვის დასაქმებისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა (მაგ. კომპიუტერი, საკერავი მანქანა, ა.შ)

სამუშაო შეხვედრაზე გამოითქვა ინიციატივა, რომ არსებული პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდოს და ტრანსპორტირების სერვისი ხელმისაწვდომი გახდეს არა მხოლოდ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებისთვის, არამედ დასაქმებული პირებისთვისაც.

სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმა:

ოთხი შეხვედრის განმავლობაში ინტენსიური მსჯელობის შედეგად, სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომელიც

მიზანი: შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა		
ამოცანა 1: ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობა		
რეკომენდირებული ნაბიჯები	**პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული**	**განხორციელების პერიოდი**
ნაბიჯი 1: მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების (ადაპტირების კუთხით) შესწავლა	• ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია • ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2024 წელი
ნაბიჯი 2: შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით პრობლემების ეტაპობრივად გადაჭრის სტრატეგიის შემუშავება	• ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია • ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2024 წელი
ნაბიჯი 3: ახალი შენობების ინსპექტირების ჯგუფში შშმ პირთა ჩართვა. **3.1** ინსპექტირების ჯგუფში შშმ პირთა ჩართვის რეკომენდაციას გენდერული საბჭო და/ან არასამთავრობო ორგანიზაციები მერს წარუდგენენ **3.2** გენდერული საბჭო უზრუნველყოფს ინსპექტირების ჯგუფისთვის შშმ პირთა შერჩევას	• ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია • ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო • არასამთავრობო ორგანიზაციები	2024 წელი
ამოცანა 2: დასაქმების შემთხვევაში შშმ პირთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა		
ნაბიჯი 1: დასაქმებული შშმ პირების ტრანსპორტირების უზრუნველყოფის ცალკე კომპონენტად გამოყოფა შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის არსებულ პროგრამაში	• ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია • ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2024 წელი
ნაბიჯი 2: შშმ პირთა დასაქმების არსებული პროგრამის ბიუჯეტის გაზრდა	• ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია • ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2024 წელი

ნაბიჯი 3: კრიტერიუმების შემუშავება, რათა განისაზღვროს ვის შეიძლება დასჭირდეს ტრანსპორტით უზრუნველყოფა	• ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია • ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2024 წელი
ნაბიჯი 4: ადაპტირებული სატრანსპორტო საშულების და მძღოლის მოძიება	• ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია • ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2024 წელი
ნაბიჯი 5: შშმ პირთა ინფორმირება ტრანსპორტირების სერვისის ხელმისაწვდომობაზე (ციფრული და ბეჭდვითი საშუალებებით, პირისპირ შეხვედრებით)	• ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია • ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2024 წელი
ამოცანა 3:ცნობიერების ამაღლების მიზნით კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა		
სამიზნე ჯგუფი: შშმ პირები და მათი ოჯახები		
ნაბიჯი 1: შშმ პირთა უფლებებსა და მათთვის ხელმისაწვდომ სერვისებზე ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, შშმ პირებთან და მათ ოჯახებთან კომუნიკაციის გაძლიერება: **1.1** შეხვედრების ჩატარება სკოლებსა და დღის ცენტრებში **1.2** რწმუნებულების ჩართულობით სოფლებში შეხვედრების ჩატარება	• ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია • ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო • სოფლის რწმუნებულები	2024 წელი
სამიზნე ჯგუფი: კერძო სექტორი და ფართო საზოგადოება		
ნაბიჯი 1: ვიდეო რგოლების მომზადება და მათი აქტიური გავრცელება სოციალური ქსელების მეშვეობით. **ვიდეო რგოლების შემოთავაზებული ვარიანტები:** • ინტერვიუ ბიზნესის წარმომადგენლებთან, ვისაც ყავთ დასაქმებული შშმ პირები და მათი გამოცდილების გაზიარება • შშმ პირების წარმატების ისტორიები	• ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია • ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2024 წელი

• წარმატებული სოციალური საწარმოების ისტორია (როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური)		
ნაბიჯი 2: ესეების კონკურსის ორგანიზება დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის. კონკურსის თემა: "როგორ აღიქვამენ მოწყვლადი ჯგუფის პრობლემებს და რაში ხედავენ გამოსავალს"	• ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია • ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	2024 წელი
ზოგადი რეკომენდაცია	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, სასურველია: • საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნოს მერი ან მერის მოადგილე • საბჭოში გაწევრიანდნენ შშმ პირები	

დამატებითი კომენტარი:

სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ სოციალური საწარმოს შექმნის მხარდაჭერა არ შეეტანა მოცემულ სამოქმედო გეგმაში, რადგან ისედაც დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული ერთ-ერთი დღის ცენტრისთვის მიწის გამოყოფა, სადაც ორგანიზაცია ააშენებს საწარმოსთვის შენობას დონორის დაფინანსებით. გარდა მიწით უზრუნველყოფისა, მუნიციპალიტეტი დაფარავს საწარმოს კომუნალურ ხარჯებსაც.